	ხელშეკრულება N0mS/07/12/16
	თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შპს „საქაერონავიგაციის" საკუთრებაში არსებული შვეულმფრენის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ
	ქ. თბილისი, 23 დეკემბერი 2016
	ერთი მხრივ, შპს "საქართველოს აეროპორტების გაერიანება" (ს.კ. 404 389 693, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტი, აეროპორტის დასახლება), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის საავიაციო უშიშროების დარგში დავით ჯაბუას სახით, შემდგომში "აეროპორტი", "მხარე"
	და მეორე მხრივ,
	სახელწოდება: შპს „საქაერონავიგაცია"
	საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051
	წარმოდგენილი მისი მისი გენერალური დირექტორის გოჩა მეზვრიშვილის სახით,
	იურიდიული მისამართი: თბილისი, აეროპორტი, 0198
	შემდგომში "გადამზიდველი", "ავიაკომპანია", "მხარე"
	ვთანხმდებით შემდეგზე:
1.	**ხელშეკრულების საგანი**
1.1.	ამ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) საგანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდების (სადგომებზე) და მგზავრების (რომლებიც მიემგზავრებიან თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან) საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფა ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ მისი მოქმედების ვადაში. ხელშეკრულება იდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. SMP160003018. CPV63700000. შპს „საქაერონავიგაციის" რესურსის მოთხოვნის განაცხადის #477-16.
2.	**საერთო პირობები**
2.1.	ავიაგადაზიდვები და მგზავრთა გადაყვანა სრულდება საერთაშორისო გადაზიდვების წესების, ნორმატიული აქტების, შეთანხმებების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2.2.	"გადამზიდველის" კოდები (ივსება "გადამზიდველის" მიერ):
2.2.1.	კოდი IATA:
2.2.2.	კოდი ICAO:
2.3.	"გადამზიდველის" საჰაერო ხომალდები, რომელთაც უნდა გაეწიოს მომსახურება, მათი მაქსიმალური ასაფრენი მასა, ექსპლუატირებადი ბორტების ნომრები, რეისების ნომრები, ფრენების განხორციელების განრიგი კვირის დღეებისა და UTC დროის მითითებით და მარშრუტები, ასევე აღნიშვნა იმის შესახებ, რეისი სატვირთოა თუ სამგზავრო, "გადამზიდველმა" უნდა მიუთითოს "A" დანართში.
2.4.	თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მონაცემები სრულად არ არის წინასწარ ცნობილი "გადამზიდველისათვის", მან "A" დანართში მაინც უნდა მიუთითოს ის მონაცემები, რაც მისთვის ცნობილია ამ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის. "A" დანართის ხელით შევსების შემთხვევაში შეუვსებელი გრაფები

	უნდა მოინიშნოს ნიშნით "X"
3.	**წარმომადგენლობა და გარანტიები**
3.1.	„გადამზიდველის" წარმომადგენლობა და გარანტიები:
3.1.1.	ხელშეკრულების ხელმოწერით „გადამზიდველი" ადასტურებს, რომ მის მიერ შესრულებულია ან/და დაკმაყოფილებულია ყველა ის მოთხოვნა, აგრეთვე მიღებულია ყველა სახის ნებართვა თუ თანხმობა, რაც აუცილებელია და უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებას. გადამზიდველი ასევე ადასტურებს, რომ ფრენების განხორციელების მომენტისათვის მოპოვებული ექნება ყველა სათანადო ნებართვა თუ თანხმობა.
3.1.2.	„გადამზიდველი" ადასტურებს, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება მისთვის წარმოადგენს ქმედითი იურიდიული ძალის და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.
3.1.3.	ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის არსებული „გადამზიდველის" წარმომადგენლობა და გარანტიები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ პერიოდზე ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადისათვის. წარმომადგენლობასა და გარანტიებში ნებისმიერი ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „აეროპორტს". წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი ცვლილების გამო დამდგარ შედეგებზე „აეროპორტი" პასუხს არ აგებს. „გადამზიდველი" იღებს სრულ და უპირობო პასუხისმგებლობას, აუნაზღაუროს "აეროპორტს" და მესამე პირებს ამგვარი ცვლილების შედეგად დამდგარი ზიანი.
3.2.	„აეროპორტის" წარმომადგენლობა და გარანტიები
3.2.1.	ხელშეკრულების ხელმოწერით „აეროპორტი" ადასტურებს, რომ მის მიერ შესრულებულია ან/და დაკმაყოფილებულია ყველა ის მოთხოვნა, აგრეთვე მიღებულია ყველა სახის ლიცენზია, სერტიფიკატი, უფლება, ნებართვა თუ თანხმობა, რაც აუცილებელია და უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებას და შემდგომში მის შესრულებას.
3.2.2.	„აეროპორტი" ადასტურებს, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება მისთვის წარმოადგენს ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.
3.2.3.	ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის არსებული „აეროპორტის" წარმომადგენლობა და გარანტიები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ პერიოდზე ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადისათვის. წარმომადგენლობასა და გარანტიებში ნებისმიერი ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „გადამზიდველს". წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი ცვლილების გამო დამდგარ შედეგებზე „გადამზიდველი" პასუხს არ აგებს. „აეროპორტი" იღებს სრულ და უპირობო პასუხისმგებლობას, აუნაზღაუროს "გადამზიდველს" და მესამე პირებს ამგვარი ცვლილების შედეგად დამდგარი ზიანი.
3.3.	მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის ან/და ამ ხელშეკრულების დადებით ნაკისრი რომელიმე ან ყველა ვალდებულების აღებით არ არღვევენ საქართველოს კანონმდებლობის ან/და საერთაშორისო სამართლის ნორმებით მათზე გავრცელებულ მოთხოვნებს.
3.4.	მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ან/და ამ ხელშეკრულების დადებით ნაკისრი რომელიმე ან ყველა ვალდებულების აღება არ არღვევს მათ მიერ მესამე პირებთან დადებულ სხვა ხელშეკრულებას და მესამე პირებს არ შეუძლიათ რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნა წაუყენონ მხარეს ამ ხელშეკრულების დადებიდან გამომდინარე.
4.	**მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**
4.1.	„გადამზიდველს" უფლება აქვს:
4.1.1.	მოითხოვოს და დროულად და სრულად მიიღოს "აეროპორტისგან" ინფორმაცია ამ უკანასკნელის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შესახებ;
4.1.2.	დროულად და სრულად მიიღოს „აეროპორტისგან" ყველა ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც აუცილებელია "გადამზიდველის" ვალდებულებების შესრულებისათვის;
4.1.3.	არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეამოწმოს

	„აეროპორტის" მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მისთვის გაწეული მომსახურება. ეს შეტყობინება უნდა შეიცავდეს შესამოწმებელი ადგილის/სფეროს აღწერას. აეროპორტს არ აქვს უფლება განაცხადოს უარი ამ ტიპის შემოწმებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემოწმებამ შეიძლება ხელი შეუშალოს აეროპორტის ფუნქციონირებას ან/და სარეჟიმო ტერიტორიის უსაფრთხოებას. ამგვარ შემოწმებას "გადამზიდველი" ახორციელებს თავისი ხარჯით. ასევე "გადამზიდველმა" უნდა აუნაზღაუროს "აეროპორტს" ან/და მესამე პირებს ამგვარი შემოწმების მომზადების ან/და ჩატარების შედეგად წარმოშობილი ხარჯები;
4.1.4.	მოსთხოვოს "აეროპორტს" ამ უკანასკნელის მიერ საავიაციო უშიშროებაზე უკვე შემოწმებული ხომალდის, მგზავრის ან ბარგის შემოწმება. თუ ამგვარი შემოწმება უშედეგო გამოდგა და მართლსაწინააღმდეგო ფაქტი არ გამოვლინდა, "გადამზიდველი" ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფასებით და წესით აანაზღაურებს ამ დამატებითი შემოწმების ღირებულებას. თუ ამ დამატებითმა შემოწმებამ გამოავლინა მართლსაწინააღმდეგო ფაქტი, შემოწმების ღირებულებას "გადამზიდველი" არ აანაზღაურებს.
4.2.	„გადამზიდველი" ვალდებულია:
4.2.1.	
4.2.2.	მიაწოდოს აეროპორტს ექსპლუატანტის მოწმობის ასლი.
4.2.3.	
4.2.4.	კეთილსინდისიერად გამოიყენოს სახელშეკრულებო უფლებები და კეთილსინდისიერად შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები, განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე, როსთვისაც გამოყოფს საამისოდ უფლებამოსილ პირს მერაბ ასლამაძეს - საავიაციო ძებნა-შეველის სამსახურის უფროსი, რომელიც საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში აეროპორტთან;
4.2.5.	შეუწყოს ხელი "აეროპორტს" მისი ვალდებულებების შესრულებაში.
4.3.	„აეროპორტს" უფლება აქვს:
4.3.1.	მოითხოვოს და დროულად და სრულად მიიღოს "გადამზიდველისგან" ინფორმაცია ამ უკანასკნელის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შესახებ;
4.3.2.	დროულად და სრულად მიიღოს „გადამზიდველისგან" ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც საჭიროა "აეროპორტის" ვალდებულებების შესრულებისათვის;
4.3.3.	საჭიროების შემთხვევაში, დამატებით/განმეორებით განახორციელოს საავიაციო უშიშროებაზე შემოწმების ღონისძიებები;
4.3.4.	მიიღოს გადამზიდველისგან ინფორმაცია (თუ ამ უკანასკნელს შეუძლია ასეთი ინფორმაციის მიწოდება) თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამომსვლელ "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდზე ანდა მის მგზავრებზე ხომალდის გამოფრენის აეროპორტში გაწეული საავიაციო უშიშროების ღონისძიებების შესახებ
4.4.	„აეროპორტი" ვალდებულია:
4.4.1.	კეთილსინდისიერად გამოიყენოს სახელშეკრულებო უფლებები და კეთილსინდისიერად შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები;
4.4.2.	შეუწყოს ხელი "გადამზიდველს" მისი ვალდებულებების შესრულებაში.
4.4.3.	"ვალდებულების შეუსრულებლობა" ან "ვალდებულების დარღვევა" ხელშეკრულებაში მოიცავს როგორც მის სრულ შეუსრულებლობას, ისე არაჯეროვან შესრულებას, ხოლო "ვალდებულების შესრულება" ნიშნავს მის ჯეროვან და კეთილსინდისიერ შესრულებას.
5.	**გადახდის პირობები**
5.1.	"აეროპორტის" მიერ "გადამზიდველისთვის" გასაწევი მომსახურების საფასური განისაზღვრება ევროსა და აშშ დოლარში წინამდებარე ხელშეკრულების B დანართის შესაბამისად.

	წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 8 260 ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული თანხის ამოწურვით წყდება წინამდებარე ხელშეკრულება და აეროპორტი უფლებამოსილია არ გაუწიოს გადამზიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
5.2.	"აეროპორტი" - ინვოისს გამოწერს ევროსა და აშშ დოლარში წინამდებარე ხელშეკრულების "B" დანართით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად ხოლო გადამზიდავი აუნაზღაურებს მომსახურების საფასურსა და დაფარავს ყველა ხარჯს ინვოისის მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5.3.	"გადამზიდველის" მიერ ინვოისში მითითებული თანხის გადახდა საქართველოში არსებული ბანკებიდან მოხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისთვის დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად.
5.4.	"გადამზიდველი" "აეროპორტს" მომსახურების საფასურს გადაუხდის "აეროპორტის" მიერ წარდგენილი ინვოისის შესაბამისად.
5.5.	"აეროპორტი" ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე "გადამზიდველს" წარუდგენს ფაქტობრივი ანგარიშსწორების დოკუმენტ(ებ)ს (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, ინვოისს და მიღება-ჩაბარების აქტს და სხვა) საანგარიშო თვის განმავლობაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესახებ.
5.6.	ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების ფასის ცვლილებისას არ გამოიყენება ხელშეკრულების მე-9 მუხლი. "აეროპორტი" ატყობინებს "გადამზიდველს" მომსახურების ახალ ფასს მის ამოქმედებამდე 15 (თხუთმეტი) დღით ადრე. თუ ამ 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში "გადამზიდველი" უარს არ იტყვის ახალ ფასებზე, სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება ახალი ფასებით, ამ ფასების ამოქმედების მომენტიდან. თუ "გადამზიდველი" უარს იტყვის ახალ ფასზე, ხელშეკრულება ავტომატურად წყდება ახალი ფასის ამოქმედებიდან, ხელშეკრულების 12.3.3. და 12.6. მუხლების შესაბამისად.
5.7.	"აეროპორტის" მიერ ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარუდგენლობისას ან დაგვიანებით წარდგენისას "გადამზიდველის" ვალდებულება თვის 20 რიცხვამდე ანაზღაურებისა ქარწყლდება. ასეთ შემთხვევაში "გადამზიდველმა" თანხა უნდა გადაიხადოს ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
6.	**კორესპონდენცია**
6.1.	მხარეებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, მხარე ვალდებულია, გამოასწოროს ხარვეზი და აანაზღაუროს დარღვევით გამოწვეული ზიანი. მხარე პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც მისი ბრალეული ან გაუფრთხილებელი ქმედებით ან უმოქმედობით არის გამოწვეული.
6.2.	მხარე არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევით.
6.3.	ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში "აეროპორტს" უფლება აქვს ცალმხრივად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულებით დაკისრებული თავისი ყველა ან ზოგიერთი ვალდებულების შესრულება.
6.4.	ამ ხელშეკრულებაში მითითებული საანგარიშსწორებო ვალდებულებების დარღვევისას, აეროპორტს უფლება აქვს, "გადამზიდველს" დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების 0.15%-ის ოდენობით, თითოეული დარღვევიდან არაუმეტეს 60 დღისა. ეს წესი მოქმედებს "აეროპორტის" მიერ ამ მუხლის 6.3 პუნქტში მითითებული ღონისძიების გამოყენების დროსაც.
6.5.	"აეროპორტი" არ აგებს პასუხს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე სხვა პირის მიერ "გადამზიდველისთვის" ზიანის მიყენების ან/და "გადამზიდველის" მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ ეს უშუალოდ არ არის გამოწვეული "აეროპორტის" მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით.

7.	**სადაო საკითხთა გადაჭრის პირობები**
7.1.	ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა შეთანხმების გზით. გონივრულ ვადაში შეუთანხმებლობისას დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2.	ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საკითხები თანხმდება ამ ხელშეკრულებით ცალკე დადგენილი წესით და ვადებით. ამავე დროს, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მხარეებს ამ საკითხებთან მიმართებაშიც აქვთ.
7.3.	
7.4.	
8.	**ფორსმაჟორული გარემოებანი**
8.1.	მხარეები თავისუფლდებიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია მდგომარეობებით (ფორს-მაჟორული გარემოებანი), რომელთა გათვალისწინება და გადალახვა გონიერი მეთოდებით შეუძლებელია. კერძოდ, როგორიცაა; მიწისძვრა; წყალდიდობა; ხანძარი; ქარიშხალი; დიდთოვლობა; ნისლი; ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები; ფრენისათვის ხელისშემშლელი უამინდობა; ცენტრალური ენერგომომარაგების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) და ცენტრალური წყალმომარაგების შეწყვეტა მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით; სამხედრო მოქმედებები; ეპიდემიები; გაფიცვები; სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები/აქტები ან მათი არარსებობა; ბლოკადა; ემბარგო; საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე; საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობა; საბანკო სისტემის კოლაფსი.
8.2.	ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სუბიექტის მიერ, ხოლო ის, რომ ფორს-მაჟორული გარემოება გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, ვალდებულების დამრღვევი მხარის მტკიცების ტვირთია.
8.3.	თუ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებულია დროის პერიოდი, ფორსმაჟორული გარემოების არსებობა ამ პერიოდის ნაწილის განმავლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით ათავისუფლებს მხარეს ვალდებულებისა და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ და რა მოცულობითაც დროის პერიოდის ფორსმაჟორულ ნაწილში შეუძლებელი იყო ვალდებულების შესრულება.
8.4.	მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოების წარმოშობის, სახის და მოქმედების შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება უწყვეტად 2 კვირაზე, ხოლო ჯამურად წლის განმავლობაში 2 თვეზე მეტ ხანს, მხარეები ვალდებულნი არიან, გადაწყვიტონ ხელშეკრულების შემდგომი ბედი. თუ მხარეები ვერ მიიღებენ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას, თითოეულ მხარეს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება. მეორე მხარეს ამ შემთხვევაში არა აქვს უფლება, მოითხოვოს მოშლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.
8.5.	მხარეს ასევე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ხელშეკრულების 9.6. მუხლში მითითებული მონაცემების მეორე მხარის მიერ შეუტყობინებლობის ან მცდარად შეტყობინების გამო.
8.6.	მხარეს ვალდებულების საერთოდ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ეს გამოწვეულია მეორე მხარის მიერ თავისი იმ ვალდებულების შეუსრულებლობით, რომლის შესრულების გარეშეც პირველ მხარეს ფიზიკურად არ შეეძლო თავისი ვალდებულების შესრულება (შესაბამისად – საერთოდ ან ამ ნაწილში)
9.	**ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1.	ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხარეების შეთანხმების შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
9.2.	ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის სტანდარტული პროცედურა გულისხმობს შემდეგს:
9.2.1.	მხარე, რომელსაც სურს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ცვლილებების პროექტი წერილობით უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს.
9.2.2.	მხარე, რომელიც მიიღებს ცვლილებების პროექტს, ვალდებულია, მიღებიდან ათი დღის განმავლობაში განიხილოს იგი, თანხმობის შემთხვევაში ამავე ვადაში სათანადო წესით მოაწეროს ხელი შეთანხმებას, რის შემდეგაც დროულად მიაწოდოს ცვლილების ინიციატორ მხარეს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისი ეგზემპლარ(ებ)ი. ასეთ შემთხვევაში ცვლილება ამოქმედდება მეორე მხარის მიერ თანხმობის გამოხატვის (შეთანხმების ხელმოწერის) თარიღიდან. ფიზიკური დოკუმენტის გაგზავნამდე, მხარის მოთხოვნით, შესაძლებელია ელფოსტით გაიგზავნოს ხელმოწერილი შეთანხმების სკანირებული ფაილი, თუმცა, ფიზიკური დოკუმენტის გაგზავნა მაინც საჭიროა.
9.2.3.	თუ მხარე არ ეთანხმება ცვლილებას, მან წერილობითი ფორმით უნდა გაუგზავნოს ინიციატორ მხარეს პასუხი შეთავაზებულ ცვლილებებზე მათი მიღებიდან 10 დღის ვადაში. ამ ვადაში პასუხის გამოუგზავნელობის შემთხვევაში ცვლილება ითვლება შეთანხმებულად და ამოქმედდება ცვლილებაზე ინიციატივის მიღებიდან 10-დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ.
9.2.4.	ცვლილებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ცვლილების ინიციატორი მხარე უფლებამოსილია, მეორე მხარის პასუხის მიღებიდან 7 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც უნდა აცნობოს მხარეს ხელშეკრულების 12.3.4. და 12.7. მუხლებით დადგენილი წესით.
9.3.	თუ მხარის მიერ შეთავაზებული ცვლილება რამდენიმე დებულებას მოიცავს და:
9.3.1.	მეორე მხარის წერილობით პასუხში რომელიმე მათგანზე არ არის დაფიქსირებული მხარის პოზიცია, ამ დებულებაზე ცვლილება ითვლება შეთანხმებულად და ამოქმედდება პასუხის მიღებისთანავე.
9.3.2.	მეორე მხარე მხოლოდ ცვლილებების ნაწილს ეთანხმება, როგორც შეთანხმებული, ისე შეუთანხმებელი ნაწილების მიმართ მოქმედებს ამ მუხლის შესაბამისი პუნქტები.
9.4.	ეს პროცედურები არ უკრძალავს მხარეებს, უშუალო მოლაპარაკებით ან მხარეთათვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებებით შეათანხმონ ცვლილების პირობები. თუ რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ ცვლილების ამგვარად შეთანხმება ჭიანურდება, მას უფლება აქვს დაიწყოს ცვლილების სტანდარტული პროცედურა.
9.5.	ხელშეკრულების შესაბამისად ამოქმედებული ცვლილება ხელშეკრულების ნაწილია.
9.6.	მხარის სახელწოდების, იურიდიული მისამართის, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის, საკონტაქტო პირის, წარმომადგენლობაზე ან/და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის, ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ან ფაქსის ნომრის, საბანკო რეკვიზიტების ცვლილება, ასევე ხელშეკრულებაში დაშვებული ორთოგრაფიული და ტექნიკური შეცდომების გასწორება (რაც გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების შინაარსზე) არ საჭიროებს მხარეთა ორმხრივად ხელმოწერილ შეთანხმებას. ასეთი ცვლილების შესახებ მხარეებმა წერილობით უნდა შეატყობინონ ერთმანეთს ცვლილებების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. შეტყობინების მიღების შემდეგ ახალი მონაცემები ითვლება ხელშეკრულების ნაწილად. ამავე დროს, სურვილის შემთხვევაში, ზემოთქმულისგან დამოუკიდებლად, მხარეებს შეუძლიათ მაინც გააფორმონ ორმხრივი შეთანხმებაც ასეთ ცვლილებაზე.
9.7.	ხელშეკრულების იმ ცვლილებების ამოქმედება, რომლებიც ინიცირებულია "აეროპორტისგან" ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, არ საჭიროებს ზემოთ მოყვანილ პროცედურებს. ამგვარი ცვლილება ეგზავნება მხარეს წერილობით და თუ გზავნილის მიღებიდან 10 დღის ვადაში მეორე მხარე არ უარყოფს ცვლილებას, იგი ამოქმედდება ამ 10-დღიან ვადის ამოწურვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმება ცვლილებაზე. თუ მეორე მხარე ამ 10 დღეში უარყოფს ამ ცვლილებას, ამ 10-დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად წყდება. ასეთი შეწყვეტის მიმართ მოქმედებს ხელშეკრულების 8.4. მუხლის მე-4 წინადადება.

9.8.	მომსახურების ფასის ცვლილებებთან მიმართებაში მოქმედებს ხელშეკრულების 5-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.
10.	**კორესპონდენცია**
10.1.	ყველა წერილობითი შეტყობინება, ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ასევე სხვა დოკუმენტები მხარეთა შორის იგზავნება ხელშეკრულებაში აღნიშნულ, იურიდიულ ანდა ფაქტობრივ მისამართებზე ("აეროპორტის" შემთხვევაში – მხოლოდ ფაქტობრივ მისამართზე) და მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად მიიჩნევა მისი ჩაბარება ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე.
10.2.	მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად მიიჩნევა ასევე მისი ჩაბარება ხელშეკრულებაში მითითებული საკონტაქტო პირისათვის.
10.3.	თუ გადამზიდველს ჰყავს წარმომადგენელი საქართველოში, მაშინ ყველა წერილობითი შეტყობინება, ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ასევე სხვა დოკუმენტები პირველ რიგში გაიგზავნება წარმომადგენელთან, ხოლო მისთვის ჩაუბარებლობისას იგზავნება გადამზიდველის მისამართზე. წარმომადგენლის მიერ გზავნილის მიღება ითვლება გადამზიდველისათვის ჩაბარებად.
10.4.	მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად შესაძლოა მიჩნეულ იქნას ასევე მისი გაგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ფოსტაზე გზავნილის მისვლის დადასტურება.
10.5.	თუ გზავნილის გაგზავნისათვის დადგენილია ვადა, ვადა არ ჩაითვლება დარღვეულად, თუ მის გასვლამდე გზავნილი ჩაბარდება ფოსტას ან სხვა ანალოგიურ სუბიექტს.
10.6.	მხარეთა შორის ფიზიკური დოკუმენტების სახით გაგზავნილი კორესპონდენცია ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის ხელმძღვანელის ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ.
10.7.	"აეროპორტი" უფლებამოსილია "გადამზიდველს" წარუდგინოს ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საქართველოს შემოსავლების სამსახურის ინტერნეტ პორტალის მეშვეობით, თუ "გადამზიდველი" საქართველოს რეზიდენტია.
11.	**ვადები ხელშეკრულებასა და მისგან გამომდინარე ურთიერთობებში**
11.1.	ვადები გამოითვლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის სათანადო ნორმების შესაბამისად, თუ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დადგენილი.
11.2.	"დღე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თუ პირდაპირ არ არის სხვაგვარად მითითებული.
11.3.	"სამუშაო დღე" ნიშნავს კვირის დღეს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იმ მხარის ქვეყანაში, რომლისთვისაც იანგარიშება ვადა, შაბათი ან კვირა სამუშაო დღეა ან კვირის სხვა რომელიმე დღე უქმე დღეა. თუ საქმე ეხება აუცილებლად მხარის მისამართზე მის ოფისში განსახორციელებელ ქმედებას, სამუშაო დღის დროის პერიოდია დილის 10 საათიდან საღამოს 18 საათამდე.
11.4.	"თვე" გულისხმობს კალენდარულ თვეს.
11.5.	"კვირა" გულისხმობს უწყვეტი მიმდევრობით შვიდი კალენდარული დღისაგან შემდგარ პერიოდს.
11.6.	თუ ხელშეკრულებაში რაიმე ვადა აითვლება რაიმე მოვლენის დადგომიდან ან დადგომამდე პირობით, ამ მოვლენის დადგომის დღე ვადაში არ ითვლება.
11.7.	თუ ხელშეკრულებაში რომელიმე ვადა მითითებულია რაიმე თარიღამდე ან რაიმე თარიღიდან, თავად ეს თარიღი არ ითვლება. თავად ეს თარიღი ვადაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირ იქნება მითითებული, რომ ვადა არის ამ თარიღის ჩათვლით.
11.8.	თუ ხელშეკრულებაში მითითებული რომელიმე ვადის ბოლო დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ასეთი

	ვადის ბოლო დღედ მიიჩნევა მომდევნო პირველივე სამუშაო დღე.
12.	**ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
12.1.	წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
12.2.	ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება:
12.2.1.	მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
12.2.2.	მხარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტით;
12.2.3.	ხელშეკრულებით ანდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.3.	ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
12.3.1.	თუ ერთ-ერთი მხარე ჯეროვნად არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს;
12.3.2.	თუ "გადამზიდველს" ექსპლუატანტის მოწმობა ან ავიარეისებზე ლიცენზიები (ნებართვები) შეუჩერდა/გაუუქმდა;
12.3.3.	ფასების შეცვლისას მხარეების მიერ შეთანხმების მიუღწევლობისას;
12.3.4.	მხარის ინიციატივით;
12.3.5.	ხელშეკრულებით ანდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.4.	12.3.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეტყობინება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე მხარეს უნდა გაეგზავნოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შესახებ წერილობითი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, დარღვევის გამოსწორებისათვის გაფრთხილებაში მიცემული გონივრული ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე 10 დღით ადრე.
12.5.	12.3.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში "აეროპორტი", დაუყოვნებლივ შეწყვეტს ხელშეკრულებას, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს "გადამზიდველს".
12.6.	12.3.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულების მე-5 მუხლი.
12.7.	12.3.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეტყობინება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე მხარეს უნდა გაეგზავნოს წერილობითი ფორმით ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე 30 დღით ადრე.
12.8.	ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამოიწვევს მისგან წარმოშობილი ისეთი ძირითადი თუ აქცესორული ვალდებულებების შეწყვეტას, რომლებიც უკვე წარმოშობილი და შესასრულებელი აქვს მხარეს მეორე მხარის მიერ სათანადო შესრულების საფუძველზე.
12.9.	ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეებს მაინც წარმოეშობათ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვალდებულების წარმოშობა პირობადებული იყო და ვალდებულების წარმოშობის პირობად გათვალისწინებული გარემოება დამდგარი იყო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
12.10.	ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ყოველ ჯერზე ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით, თუ მოქმედების ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს, რომ აღარ სურს ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება ან აღნიშნული სურს ერთ წელზე ნაკლები ვადით.

13.	**დასკვნითი დებულებანი**
13.1.	მხარეები ადასტურებენ, რომ გააჩნიათ ყველა სათანადო ნებართვა თუ თანხმობა და აკმაყოფილებენ ყველა სათანადო პირობას იმისათვის, რომ დადონ ეს ხელშეკრულება. თუ რომელიმე მხარის ნების გამოვლენა ნაკლიანია ამ თვალსაზრისით, ყოველგვარი პასუხისმგებლობა, რაც ამის გამო შეიძლება დადგეს, ეკისრება თავად ამ მხარეს.
13.2.	ხელშეკრულების ხელმომწერი პირები ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული უფლებამოსილება ამ ხელშეკრულების დასადებად. თუ ამ მხრივ რომელიმე მათგანის უფლებამოსილება ნაკლიანია, ყველა პასუხისმგებლობა (მათ შორის, მეორე მხარისათვის შესაძლო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) პირადად და შეუზღუდავად ეკისრება თავად ამ ხელმომწერ პირს. ამავდროულად, მხარეს უფლება აქვს, მეორე მხარისაგან მოითხოვოს ან თავად მოიპოვოს ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ანდა სხვა.
13.3.	მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ძალას კარგავს მხარეთა შორის არსებული ყველა წინა მოლაპარაკება, შეთანხმება და მიმოწერა, რომელიც ეხება ამ ხელშეკრულების საგანს.
13.4.	თუ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გამო ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედება შეწყდა, ხელშკრულების დანარჩენი პუნქტები მოქმედი რჩება.
13.5.	ყველა სხვა საკითხზე, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
13.6.	ხელშეკრულება წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს. მხარემ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გაანდონ მისი შინაარსი და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაგებული ინფორმაცია მესამე პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს საჭიროა კანონმდებლობით პირდაპირ დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან ინფორმაცია ისედაც საჯარო ანდა ხელმისაწვდომია.
13.7.	წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენაზე. ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართული ვერსიის დებულებებს.
13.8.	ხელშეკრულებას ერთვის სამი დანართი, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებია, კერძოდ:
13.8.1.	დანართი "A": "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდების მოძრაობის განრიგი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების შესრულებისას.
13.8.2.	დანართი "B": თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო ხომალდების და მგზავრების საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღირებულება.
13.8.3.	დანართი "C": შეთანხმება საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში
14.	
14.1.	"აეროპორტი"
14.1.1.	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
14.1.2.	საიდენტიფიკაციო კოდი: 404 389 693
14.1.3.	საკონტაქტო პირი: ანა ვაჩაძე
14.1.4.	მობილური: +995 599 640068
14.1.5.	ელ-ფოსტა: a.vachadze@airports.ge
14.1.6.	ტელეფონი: +995 32 48 73 29
14.1.7.	საბანკო რეკვიზიტები:

14.1.8.	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
14.1.9.	ბანკის კოდი: BAGAGE22
14.1.10	ა/ა GE97BG0000000590349600
14.2.	
14.2.1.	
14.2.2.	
14.2.3.	
14.2.4.	
14.2.5.	
14.2.6.	
14.3.	
14.3.1.	
14.3.2.	
14.3.3.	
14.3.4.	
14.3.5.	
14.4.	შპს „საქაერონავიგაცია“
14.4.1.	საიდენთიფიკაციო კოდი:208144051
14.4.2.	საკონტაქტო პირი: თამარ ჯაფარიძე
14.4.3.	მობილური: +995 599 50 89 88
14.4.4.	ელ-ფოსტა: t.japaridze@airnav.ge
14.5.	ტელეფონი: +995 322 744 477 (254)
14.5.1.	საბანკო რეკვიზიტები:
14.5.2.	ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა“
14.5.3.	ბანკის კოდი: GE69BR0000000005467067
14.5.4.	ა/ა: REPLGE22
14.5.5.	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" შპს "საქაერონავიგაცია"
14.5.6.	
14.5.7.	
14.5.8.	დავით ჯაბუა გოჩა მეზვრიშვილი
14.5.9.	დირექტორის მოადგილე გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება (მომს/07/12/16)
დანართი "A"

Time-Table of Aircrafts Operating the Flights at Tbilisi International Airport
საჰაერო ხომალდების მოძრაობის განრიგი
თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების შესრულებისას

Week days კვირის დღეები	Type of the aircraft საჰაერო ხომალდის ტიპი	Flight number რეისის #	Route and time (UTC) ფრენის განრიგი (დრო UTC)	Board # bortis #	Maximal take-off weight, tones. მაქსიმალური ასაფ. მასა, ტ	Cargo/Passenger სატვირთო/ სამგზავრო
Monday ორშაბათი						
Tuesday სამშაბათი						
Wednesday ოთხშაბათი						
Thursday ხუთშაბათი						
Friday პარასკევი						
Saturday შაბათი						
Sunday კვირა						

დანართი B, ხელშეკრულება N მომს/0[illegible]12/16	
თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო ხომალდების და მგზავრების საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღირებულება	
1.	
აეროპორტიდან გამგზავრებულ ყოველ საერთაშორისო მგზავრზე	3,7 ევრო
აეროპორტიდან გამგზავრებულ ყოველ ადგილობრივი (ქვეყნის შიდა) არარეგულარული ავიარეისის მგზავრზე	1,5 ევრო
აეროპორტიდან გამგზავრებულ ყოველ ადგილობრივი (ქვეყნის შიდა) რეგულარული ავიარეისის მგზავრზე	1 აშშ დოლარი
❖ მგზავრთა მომსახურეობის ღირებულება კომპანიებს არ დაეკისრება შემდეგ შემთხვევებში:	
• ორ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	
• ჰუმანიტარული დანიშნულების ავიარეისების მგზავრებისათვის	
• მგზავრებს, რომლებიც არ გადმოსულან საჰაერო ხომალდიდან	
2.	

საჰაერო ხომალდის საავიაციო უშიშროების მომსახურება	**საჰაერო ხომალდები მაქსიმალური ასაფრენი წონით 14 ტონამდე (ჩათვლით)**	**საჰაერო ხომალდები მაქსიმალური ასაფრენი წონით 14 ტონაზე**
ფასი ადგილობრივ (ქვეყნის შიდა) რეგულარულ ფრენაზე	1 აშშ დოლარი / ტონა	1,5 აშშ დოლარი / ტონა

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

დავით ჯაბუა
დირექტორის მოადგილე

შპს „საქაერონავიგაცია"

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი

	ხელშეკრულება N0ომს/0[illegible]/12/16
	დანართი "C"
	თბილისი საერთაშორისო აეროპორტში საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ
	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, აეროპორტი, (აეროპორტის დასახლება)), შემდგომ ტექსტში "აეროპორტი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის საავიაციო უშიშროების დარგში დავით ჯაბუას სახით და
	სახელწოდება: შპს „საქაერონავიგაცია"
	საიდენტიფიკაციო კოდი: 208 144 051
	წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის სახით,
	იურიდიული მისამართი: თბილისი, აეროპორტი, 0198
	ვთანხმდებით შემდეგზე:
	ადგენენ წინამდებარე შეთანხმებას "აეროპორტსა" და "გადამზიდველს" შორის, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, იკაოს დოკ. 8973 (მეშვიდე გამოცემა, 2010წ.), იკაოს დანართი #17-ით "უსაფრთხოება. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის დაცვა უკანონო ჩარევის აქტებისაგან" (მეცხრე გამოც. 2011წ. აპრილი), გათვალისწინებული სტანდარტებისა და პროცედურების, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის კონვენციის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 მაისის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ #283 ბრძანებულების, ასევე მათ საფუძველზე საავიაციო უშიშროების საკითხებში დამუშავებული, დამტკიცებული და მოქმედი ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულების მიზნით.
1.	**შეთანხმების საგანი**
1.1.	"აეროპორტისა" და "გადამზიდველის" მიერ საავიაციო უშიშროების სტანდარტიზირებული დონის უზრუნველყოფა; საჰაერო ხომალდების, ეკიპაჟის წევრების, "ავიაკომპანიის" საავიაციო პესონალის, მგზავრების, "აეროპორტისა" და "ავიაკომპანიის" მატერიალური ღირებულებების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისა და საქმიანობის სფეროში უკანონო ჩარევის აქტებისაგან დაცვა.
1.2.	"აეროპორტისა" და "გადამზიდველის" მიერ საავიაციო უშიშროების ღონისძიებათა შესრულება, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტების, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ 1944 წლის ჩიკაგოს კონვენციის დანართი #17-ით გათვალისწინებული სტანდარტებისა და პროცედურების თანახმად, უკანონო ჩარევის აქტებისაგან დაცვის საკითხებში.
2.	**მხარეთა ვალდებულებები**

2.1.	"აეროპორტი" მომსახურების ზონაში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლირებად ზონებსა და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში, მის განკარგულებაში მყოფი თანამშრომლებითა და მატერიალური რესურსებით, ვალდებულია:
2.1.1.	უზრუნველყოს სადგომებზე "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდების საავიაციო უშიშროება და მეთვალყურეობა.
2.1.2.	"გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით თბილისის აეროპორტიდან გასაგზავნად გაფორმებული ბარგის, ბორტზე განსათავსებელი მარაგის, მათ შორის ბორტკვების და დანადგარების შემოწმება-დათვალიერება საავიაციო უშიშროებაზე; "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით გასამგზავრებლად გაფორმებული მგზავრების, საჰაერო ხომალდების ეკიპაჟის წევრების, "გადამზიდველის" საავიაციო პერსონალის ან სხვა ეკიპაჟის შემადგენლობაში ჩართული პერსონალის, ან მგზავრის სახით აეროპორტიდან გასამგზავრებლად გაფორმებული პერსონალის, რომელსაც თბილისის აეროპორტში გავლილი აქვს ყველა სახის შემოწმება საავიაციო უშიშროებაზე.
2.1.3.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით გასამგზავრებლად მიღებული ბარგის, ბორტზე განსათავსებელი მარაგისა მათ შორის ბორტკვების და დანადგარების შემოწმება- დათვალიერება საავიაციო უშიშროებაზე;
2.1.4.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით გასამგზავრებლად რეგისტრირებული მგზავრების, ეკიპაჟის წევრებისა და ეკიპაჟის შემადგენლობაში ჩართული პერსონალის, ან მგზავრის სახით აეროპორტიდან გასამგზავრებლად გაფორმებული პერსონალის შემოწმება საავიაციო უშიშროებაზე;
2.1.5.	ეკიპაჟის წევრებისა და საავიაციო პერსონალის მონაწილეობით უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდების გაფრენის წინა შემოწმება-დათვალიერება საავიაციო უშიშროებაზე;
2.1.6.	უზრუნველყოს ბარგის, ბორტზე განსათავსებელი მარაგისა მათ შორის ბორტკვების და დანადგარების თანხლება "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდამდე ჩასატვირთად.
2.1.7.	"გადამზიდველის" დასაბუთებული და სათანადო წესით გაფორმებული მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული სამუშაოების განმეორებითი ჩატარება. იმ შემთხვევაში, თუ "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდის რეისი შეფერხება დაკავშირებულია ამ მუხლის წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან, "აეროპორტი" რეისის შეფერხებაზე პასუხს არ აგებს.
2.1.8.	"აეროპორტი" იღებს ვალდებულებას დადგენილი წესით აცნობოს "გადამზიდველს", შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ან მისი საშიშროების შესახებ, ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტების შესახებ, ასევე დარღვევათა დაფიქსირების შესახებ, "გადამზიდველის" მუშაკების მიერ საავიაციო უშიშროების მოთხოვნათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შესახებ.

2.2.	"გადამზიდველი" თბილისის აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში ვალდებულია:
2.2.1.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" პერსონალის მიერ საავიაციო უშიშროების მოთხოვნათა შესრულება, სამოქალაქო ავიაციის დაცვა უკანონო ჩარევის აქტებისა და მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
2.2.2.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" საავიაციო პერსონალისა და სხვა სახის პერსონალის მიერ სასაშვო რეჟიმისა და შიდა ობიექტების რეჟიმის დაცვა;
2.2.3.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდების დროული ჩაბარება დასაცავად, თბილისის აეროპორტში დადგენილი წესების შესაბამისად;
2.2.4.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით გასამგზავრებლად რეგისტრირებული მგზავრების, ეკიპაჟის შემადგენლობაში ჩართული პერსონალის წარდგენა დადგენილი წესით საავიაციო უშიშროებაზე შემოწმების გასავლელად;
2.2.5.	უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით თბილისის აეროპორტიდან გასაგზავნად გაფორმებული ბარგის, ბორტზე განთავსებული მარაგის მათ შორის ბორტკვების და/ან ხელმოწერილი და დადგენილი წესით დამოწმებული დოკუმენტების წარდგენა საავიაციო უშიშროების შემოწმება-დათვალიერების განსახორციელებლად;
2.2.6.	ეკიპაჟის წევრების, "გადამზიდველის" და "აეროპორტის" საავიაციო პერსონალის მონაწილეობით უზრუნველყოს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდების გაფრენის წინა შემოწმება-დათვალიერება;
2.2.7.	იმ შემთხვევაში, თუ ეკიპაჟის წევრებმა, "გადამზიდველის" წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ეკიპაჟის შემადგენლობაში, არ გაიარეს შემოწმება საავიაციო უშიშროებაზე, ან დაფიქსირებული იქნა ასეთი კონტროლის გავლის თავის არიდების ფაქტები, არ დაუშვას ზემოაღნიშნული პერსონალი აეროპორტიდან გასამგზავრებლად;
2.2.8.	"გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებზე არ დაუშვას:
2.2.8.1.	მგზავრები, რომელთაც არ გაიარეს დადგენილი წესით შემოწმება საავიაციო უშიშროებაზე;
2.2.8.2.	პირები, რომელნიც არ არიან დადგენილი წესით რეგისტრირებულნი საჰაერო ხომალდის მგზავრებად;
2.2.8.3.	პირები, რომელთაც არ გააჩნიათ ავიაბილეთი აღნიშნულ რეისზე და დადგენილი წესით არ გაუვლიათ გაფრენისწინა შემოწმება საავიაციო უშიშროებაზე;
2.2.8.4.	არარეგისტრირებული ხელბარგი და ბარგი, ასევე ტვირთი, საფოსტო გზავნილები და ბორტზე განთავსებული მარაგი მათ შორის ბორტკვების შესაბამისი დოკუმენტების გარეშე, რომელნიც იძლევიან "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით თბილისი აეროპორტიდან-მათი გაგზავნის უფლებას.
2.2.8.5.	ხელბარგი, ტვირთი, საფოსტო გზავნილები და ბორტზე განსათავსებელი მარაგი, მათ შორის ბორტკვების რომლებიც არ იყო წარმოდგენილი დადგენილი წესით საავიაციო

	უშიშროებაზე შემოწმება-დათვალიერების გასავლელად;
2.2.9.	დადგენილი წესით აცნობოს "აეროპორტის" უკანონო ჩარევის აქტების, ან ასეთი აქტების მოხდენის საშიშროების შესახებ, ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტების შესახებ, ასევე დარღვევათა დაფიქსირების შესახებ, საავიაციო უშიშროების მოთხოვნათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შესახებ.
2.2.10.	საჰაერო ხომალდის ეკიპაჟს, "გადამზიდველის" საავიაციო ან სხვა სახის პერსონალის, ფიზიკურ პირებსა და იურიდიული პირების წარმომადგენლებს, რომელნიც სარგებლობენ "გადამზიდველის" მომსახურებით, გააცნოს ვალდებულებები საავიაციო უშიშროების მოთხოვნათა შესრულების შესახებ;
2.2.11.	შეასრულოს "აეროპორტის" პასუხისმგებელი პირებისა და საავიაციო უშიშროების სამსახურის მუშაკების კანონიერი მოთხოვნები თბილისის აეროპორტის კონტროლირებად ზონებსა და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის, უკანონო ჩარევის აქტებისა და მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის საკითხებში;
2.2.12.	უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის კოორდინირება და "აეროპორტის" ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედება, აეროპორტის კონტროლირებად ზონებსა და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით;
2.2.13.	დაუყოვნებლივ აცნობოს "აეროპორტს" და სამი საათის განმავლობაში სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უკანონო ჩარევის აქტების, ან ასეთი აქტების წარმოშობის საშიშროების შესახებ, სხვა მართსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტების შესახებ "გადამზიდველთან", მგზავრებთან, ეკიპაჟის წევრებთან, საჰაერო ხომალდთან, ხელბარგთან, ბარგთან, საფოსტო გზავნილებთან, ბორტზე განთავსებულ დანაგდარებსა და მარაგთან მათ შორის ბორტკვების მიმართებაში, ან სხვა სახის ქონებასა და მატერიალურ ფასეულობებთან მიმართებაში, რომელნიც გადაგზავნილ უნდა იქნეს "გადამზიდველის" საჰაერო ხომალდებით; ასეთი საშიშროების, აქტებისა და ხელყოფის შედეგების შესახებ; რეჟიმის გაძლიერების მიზნით და უკანონო ჩარევის აქტების საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ;
2.2.14.	უზრუნველყოს გამოძახება და "აეროპორტთან" შეთანხმებით, შექმნას პირობები სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების, ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ "გადამზიდველის" ვალდებულებათა ინსპექტირებისა და შემოწმებისათვის.
3.	**მხარეთა პასუხისმგებლობა**
3.1.	"აეროპორტი", საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, პასუხს აგებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევაზე, შეუსრულებლობასა და არასათანდო შესრულებაზე, ასევე დარღვევების, შეუსრულებლობის და არასათანდო შესრულების შედეგებზე.
3.2.	"გადამზიდველი", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, პასუხს აგებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევაზე,

	შეუსრულებლობასა და არასათანდო შესრულებაზე, ასევე დარღვევების, შეუსრულებლობის და არასათანდო შესრულების შედეგებზე.
4.	**ზოგადი პირობები**
4.1.	იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმების რომელიმე მუხლი ბათილი გახდება, ან მომავალში შეუსაბამობაში აღმოჩნდება საქართველოს კანონმდებლობასთან, ეს არ შექმნის სხვა მუხლების ან მთლიანად შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.
4.2.	შეთანხმების საგანზე ყველა წინა ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკება მხარეებს შორის ამ შეთანხმების გაფორმებით ძალადაკარგულად ითვლება.
4.3.	აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის საავიაციო უშიშორების მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების #მომს/06/12/16 შემადგენელ ნაწილს.
5.	**შეთანხმების მოქმედების ვადა**
5.1.	წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მხარეთა შორის საავიაციო უშიშორების მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების #მომს/06/12/16 მოქმედების ვადით.
6.	**რეკვიზიტები**
6.1.	საავიაციო უშიშროებაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

დავით ჯაბუა

დირექტორის მოადგილე

შპს „საქაერონავიგაცია"

გოჩა მეზვრიშვილი

გენერალური დირექტორი